



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



ჩა უნდა
ვიხორციელოთ

თაფლის

წარმოებისა და მისი ექსპორტისთვის



Economic Policy Research Center
აღმერთაყარა კოლონიის კვლევის ცენტრი



საგარეო ურთიერთობების მინისტროს
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრო



წინამდებარე ბუკლეტში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საკანონმდებლო ჩანჩქო ანსებობს სტანდარტულად თაფლის წარმოებისათვის და ანებ, რა მოთხოვნები ანსებობს ევროკავშირში თაფლის ექსპორტისათვის.

2016 წელს ევროკავშირთან სტანდარტულად თაფლის ექსპორტის ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე დაუშვა. მიუხედავად ამისა, თაფლის ქანთვადი მწარმოებლები მათგან ვერ ახერხებენ თაფლის გაყიდვას, რადგან მათ მიერ წარმოებული პროდუქტი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.



საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის დადგენილება №71 „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს თაფლის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების, მარკირების, ეტიკეტირებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს თაფლის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება „ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათში ფარმაცოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, მათ კლასიფიკაციას და ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის N567 დადგენილება „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შემზღვევებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესს და მიზნად ისახავს ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების რეგულირების ერთიანი პრინციპების დანერგვას.



საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს სხვადასხვა სახეობის სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებს, კერძოდ, მიკრობიოლოგიურს და, ასევე, განსაზღვრავს ბიონესოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჰიგიენის წესის შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N35 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესების“ დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ეხება სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში (წყალი, ნიადაგი, ჰაერი) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენი რაოდენობის კონტროლის მიზნით ნიმუშების აღებას ლაბორატორიული გამოცდისათვის.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“, რომელშიც მოცემულია სურსათის წარმოების პროცესის მიმართ ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N198 დადგენილება, „ბიოწარმოების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს თაფლის ბიოწარმოების პირობებს.

კანონმდებლობის მოთხოვნები

ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, თაფლი არის ბუნებრივად ტკბილი ნივთიერება, პროდუქტი, რომელიც მიიღება მეთაფლია ფუტკრის მიერ ყვავილის ნექტარის ან ცვარტკბილის შეგროვების, მისი გარდაქმნის, დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) და ფიჭაში მომწიფების მიზნით შენახვის შედეგად. რეგულაცია ადგენს თაფლის სამ სახეობას: ყვავილის ანუ ნექტრის, ცვარტკბილის და შერეულ თაფლს.

საქართველოს ბაზარზე არსებული თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- თაფლი მიღებული უნდა იყოს ჯანმრთელი ფუტკრისგან და გამოდიოდეს ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან (რეგიონიდან);
- უნდა კონტროლდებოდეს ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მოხმარება, დოზები და ვადები;
- გასაყიდად გამზადებული თაფლის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი;
- საკონდიტრო თაფლის ეტიკეტზე პროდუქტის დასახელებასთან ახლოს უნდა მიეთითოს სიტყვები: „განკუთვნილია მხოლოდ საკონდიტრო წარმოებისათვის“;
- დაუშვებელია ბაზარზე არსებულ თაფლში საკვები დანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება;
- თაფლში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი უცხო სუნი და გემო, რომელიც წარმოიქმნება შენახვის და გადამუშავების დროს;
- აკრძალულია თაფლის გაცხელება და გადამუშავება ისე, რომ შეიცვალოს მისი ძირითადი მარკენებლები;



- აკრძალულია თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა;
- აკრძალულია გამოკრისტალებული თაფლის ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით დამუშავება.

ბაზარზე არსებული, ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისთვის განკუთვნილი თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- შაქრის შემცველობა (ფრუქტოზის და გლუკოზის ჯამური რაოდენობა) ყვავილის თაფლში უნდა იყოს არანაკლებ 60გ/100გ-ში, ცვარტკბილისა და შერეულ თაფლში – 45გ/100გ-ში;
- საქარობის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 5გ/100გ-ში, გარდა გარკვეული სახეობის ყვავილის ნექტრიდან მიღებული თაფლისა, რა დროსაც დასაშვებია 10გ/100გ-ში (მაგ: ფრანგული ცვარტყავა) და 15გ/100გ-ში (მაგ: ლავანდისა და კიტრისუნას ყვავილიდან).
- სინესტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 20%, გარდა მცენარე მანანას თაფლისა (23%), ხოლო საკონდიტრო დანიშნულების თაფლისთვის დასაშვებია 25%-ი.
- ასევე, განსაზღვრულია თაფლში საერთო მჟავიანობისა და ჰიდროქსილ-მეთილფურფერალის შემცველობის მაქსიმალური დასაშვები ზღვრები.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ცხოველური წარმოშობის სურსათში ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები ოდენობა. მაგალითად, კუმადოსის ნარჩენის რაოდენობა თაფლში არ უნდა აღემატებოდეს 100მკ/კგ-ში, ხოლო ამიტრაზი 200მკგ/კგ-ში.

დაუშვებელია თაფლში შემდეგი აკრძალული ნივთიერებების და მათი ნარჩენების არსებობა: *Aristolochia* spp და მისგან დამზადებული პრეპარატები, ქლორამფენიკოლი, ქლოროფორმი, ქლორპრომაზინი, კოლხიცინი, დაფსონი, დიმეტრიდაზოლი, მეტრონიდაზოლი, ნიტროფურანი (მათ შორის ფურაზოლიდონი), რონიდაზოლი.



ასევე, რეგულირებას დაქვემდებარებულია თავლში დამაბინძურებლების მაქსიმალური დასაშვები ზღვარი, კონკრეტულად ლითონის შემცველობა თავლში არ უნდა აღემატებოდეს 0,1 მგ/კგ-ში.

თავლის მწარმოებლები პირველადი წარმოებისა და გადამუშავების ეტაპებზე ვალდებული არიან დაიცვან ჰიგიენის ნორმები:

- ტერიტორია, სადაც საფუტკრე მეურნეობაა გაშენებული, უნდა იყოს ცხოველთა სადგომების, ნაგავსაყრელების და სხვა დაბინძურებული ადგილებისგან მოშორებით;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჭურჭლის, ყუთის, სხვა გადასაზიდი საშუალებების და მოწყობილობების სისუფთავის დაცვა;
- შესაბამისი ტერიტორიიდან რეგულარულად უნდა ხდებოდეს საწარმოო ნარჩენების გატანა;
- საწარმოო ადგილი უნდა იყოს დაცული ცხოველების, მღრღნელების, ფრინველებისა და სხვა მავნებლებისაგან;
- კონტროლდებოდეს ფუტკრის დაავადებები, ვეტერინარული პრეპარატები და მათი გამოყენების პირობები;
- უზრუნველყონ მიკვლევადობა ანუ თავლის მწარმოებელი ვალდებულია, ფლობდეს ინფორმაციას იმ პირის ან ბიზნესოპერატორის შესახებ, ვისაც თავლს აწვდის ან ვისგანაც თავლს იღებს.

ბიომწარმოების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება განსაზღვრავს მოთხოვნებს ბიოლოგიურად სუფთა თავლის წარმოებისათვის და განსაზღვრავს ასეთი პროდუქტის ეტიკეტირების წესს. აღნიშნული რეგლამენტი სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიაზე ვინმე გადაწყვეტს ბიო-თავლის წარმოებას.

ევროკავშირის მოთხოვნები თავლის მიმართ

თავლი, როგორც ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, ევროკავშირში რეგულირდება დირექტივით 110/2001, რომელიც ევროპულ ბაზარზე თავლის მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს. დირექტივა განსაზღვრავს, რომ თავლში არ უნდა იყოს დამატებული არანაირი საკვები ინგრედიენტი ან დანამატი. დირექტივის მეორე დანართი შემდეგ კრიტერიუმებს აყალიბებს:



შაქრის შემსველობა

1.1. უნაქსოვის და გლუკოზის ჩაორენობა

ყვავილის თაფლის (blossom honey) შემთხვევაში მინიმუმ 60 გრამი უნდა იყოს ყოველ 100 გრამში, ხოლო სხვა ტიპის თაფლისთვის (honeydew honey) მოთხოვნა მინიმუმ 45გ/100გ-ია.

1.2. საქაროვის შემსველობა ზოგადად 100 გრამში 5 გრამს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, ლავანდის თაფლში ეს მაჩვენებელი 15 გრამამდეც დასაშვებია, ხოლო აკაციის, ციტრუსის და სხვა რამდენიმე სახეობის თაფლისთვის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 10 გ/100გ-ია.

2. ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს.

3. წყალში გაუნსნელი შემსველობა ყოველ 100 გრამში მაქსიმუმ 0,1 გრამია დაშვებული.

4. ელექტრობაშარიობა ზოგადად არ უნდა აღემატებოდეს 0.8 mS/cm-ს.

5. თავისუფალი შავა (FREE ACID) ყოველ 100გრამზე (1 ლიტრზე) დასაშვებია მაქსიმუმ 50 მილი-ეკვივალენტი.

6.1. დიასტაზური აქტივობა უნდა იყოს მინიმუმ 8, თუმცა დაბალი ფერმენტის შემცველ თაფლის სახეობებში (მაგალითად, ციტრუსის თაფლი) ეს რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები.

6.2. ჰიდროქსიმეთილფორმალური შემსველობა არ უნდა აღემატებოდეს 40 მგ/კგ-ს.



იმისათვის, რომ ევროკავშირმა უზრუნველყოს მომხმარებლის უსაფრთხოება, იმპორტირებული საქონელი, მათ შორის თაფლიც, უნდა აკმაყოფილებდეს ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ბაზარზე შესული საკვების მიღება უსაფრთხოა და არ შეიცავს იმ რაოდენობის დამაბინძურებელ ნივთიერებებს, რომ ის საშიში იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პირველ რიგში, ევროკავშირი აკონტროლებს პროდუქტში დამაბინძურებელი ნივთიერებების (contaminants) რაოდენობას.

ევროკავშირის რეგულაცია (EC) No 396/2005 განსაზღვრავს პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს მთელი რიგი პროდუქტისათვის. თაფლის შემთხვევაში ნარჩენის ზღვრულად დასაშვები რაოდენობა და-

კონკრეტული არ არის, შესაბამისად, იგულისხმება, რომ ეს მაქსიმალური ნორმა 0.01 მგ/კგს არ უნდა აღემატებოდეს.

ევროკავშირის რეგულაცია 37/2010 განსაზღვრავს ფარმაკოლოგიურად საშიში ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ რაოდენობას. თაფლის შემთხვევაში ფარმაკოლოგიურად აქტიური საშიში ნივთიერება კუმაფოსია (Coumafos), ხოლო მისი მაქსიმალური დასაშვები რაოდენობაა 100 მგ/კგ. საშიშია ასევე ამიტრაზის (Amitraz) არსებობაც, მისი მაქსიმალური ნებადართული რაოდენობა 200 მგ/კგ-ია.

რეგულაცია 96/23/EC ადგენს საკანონმდებლო ბაზას ცხოველური წარმოშობის საკვებში ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით. დირექტივის თანახმად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, რაც გულისხმობს ცხოველებში, მათ ექსკრემენტებში, სხეულის სითხეებსა და ქსოვილებში, ცხოველურ პროდუქტებში, ცხოველის საკვებში და სასმელ წყალში ნარჩენების შემოწმებასა და კონტროლს.

თაფლის შემთხვევაში რეგულაცია 96/23/EC-ის მეორე დანართი, თაფლს განაკუთვნებს B1, B2c, B3a, B3b, B3c ჯგუფებს.

მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით, ევროკავშირის გააჩნია მთელი რიგი რეგულაციებისა, რათა ცხოველური წარმოშობის პროდუქტი შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებს. რეგულაცია (EC) No 852/2004 განსაზღვრავს საკვების ზოგად ჰიგიენურ სტანდარტებს, რომლის თანახმადაც, ბიზნესოპერატორი ვალდებულია გააკონტროლოს ის, რომ საკვები ჯაჭვის არც ერთ ეტაპზე არ იყოს პროდუქტის უსაფრთხოება იგნორირებული და დაცული იყოს ჰიგიენის ნორმები. ასევე, გათვალისწინებულ იქნას საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების მართვის სისტემის (HACCP) ყველა პროცედურა.

გამომდინარე იქიდან, რომ თაფლი მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ პროდუქტებს, ევროკავშირში ამ პროდუქტის ექსპორტი ყველა ქვეყნისთვის შესაძლებელი არ არის. საქართველოს ოფიციალურად აქვს ევროკავშირში თაფლის გატანის უფლება, თუმცა, იმისათვის, რომ პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, ის უნდა იყოს გაგზავნილი, მოპოვებული ან/და დამზადებული ისეთ დაწესებულებებში (სასაკლაო,

ქარხანა), რომელიც აღიარებულია ჯანმრთელობისა და საკვების უვნებლობის გენერალური დირექტორატის მიერ.

ევროპული რეგულაცია 2002/99/EC ცხოველის ჯანმრთელობის საკანონმდებლო ბაზას ქმნის და განსაზღვრავს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის წესებს.

წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე აუცილებლად უნდა იყოს გაკონტროლებული ის, რომ საკვების მწარმოებლებმა არ მოახდინონ ცხოველებისათვის გადამდები დაავადებების გავრცელება. ცხოველური წარმოშობის პროდუქტი უნდა იყოს მოპოვებული იმ ცხოველიდან, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

ამავე რეგულაციის თანახმად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტისთვის



აუცილებელია ვეტერინარული სერტიფიკატის მოპოვება. აღნიშნულმა სერტიფიკატმა უნდა დაადასტუროს, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს დირექტივით განკუთვნილ მოთხოვნებს ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ევროკავშირის ბაზარზე შესული პროდუქტის მაქსიმალური უსაფრთხოება, (EC) No 178/2002 რეგულაციის თანახმად, ბიზნესოპერატორებმა პასუხი უნდა აგონ პროდუქტის წარმოების და დისტრიბუციის შემდეგ ეტაპებზე:

❖ **შესაბამისობა საკვების უზრუნველყოფის კანონმდებლობას** – იმპორტირებული საკვები უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის საკვების კანონების მოთხოვნებს ან ევროკავშირის მიერ აღიარებულ ეკვივალენტს. ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები უნდა იყვნენ გარანტორები პროდუქტის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის;

❖ **მიკრობიოლოგია** – ბიზნესოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქტის მიმწოდებლის იდენტიფიცირება და მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ ეს ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს;

❖ **პასუხისმგებლობა** – ბიზნესოპერატორი პასუხისმგებელია წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, შესაბამისად, ის აგებს პასუხს, რომ ექსპორტირებული პროდუქტი უსაფრთხოა და შეესაბამება ყველა მოთხოვნას.

ევროკავშირი ასევე განსაზღვრავს თაფლის ეტიკეტირების წესებს. (EU) No 1169/2011 რეგულაციის თანახმად, პროდუქტის შეფუთვაზე დატანილი



უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქტის სახელი;
- ინგრედიენტების ჩამონათვალი;
- მასა (ნეტო);
- ვარგისიანობის ვადა;
- შენახვის ან/და მოხმარების პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წარმოშობის ქვეყანა.

2016 წლიდან ასევე სავალდებულო გახდა პროდუქტის საკვები ღირებულების მითითება, სადაც, ასევე, სავალდებულოა მიეთითოს:

- ენერგეტიკული ღირებულება;
- ცხიმის, გამაჯერებლების (saturates), ნახშირწყლების, შაქრის, პროტეინის და მარილის რაოდენობა;
- გარდა ამისა, თუ პროდუქტი შესაძლოა იყოს ალერგიული გარკვეული ჯგუფებისთვის, ეს აუცილებლად უნდა იყოს მითითებული შეფუთვაზე.

ღირეპტივა 63/2014-ის თანახმად, თუ თაფლი დამზადებულია ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, მასზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ერთ-ერთი:



- „ევროკავშირის თაფლის ნაზავი“;
- „არაევროკავშირის თაფლის ნაზავი“;
- „ევროკავშირის და არაევროკავშირის თაფლის ნაზავი“.

თუ თაფლი გენეტიკურადაა მოდიფიცირებული, მას ევროკავშირის ბაზარზე მოსახვედრად დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევს.

ასევე, რამდენიმე დამატებითი კრიტერიუმია ორგანული პროდუქტის შემთხვევაშიც, თუმცა, ეს მოთხოვნები სავალდებულო არ არის და მხოლოდ ნებაყოფლობით კრიტერიუმებს წარმოადგენს.



პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.



ჩვენა
ვიცოდეთ
თაფლის
წარმოებისა და მისი
ექსპორტისთვის

სამოქალაქო საზოგადოება –
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდობსაჭმრად

 DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85

ტელ: 032 220 73 05

ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge